ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1619331

ნომერი: AR1269008

თარიღი : 27.11.2014

გაცემის თარიღი : 02.12.2014

გაცნობის თარიღი : 05.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეველეს , N 23 , მიმდებარედ (ნაკვეთი 16/012)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა მეველეს , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ დავითაინიძე პ/ნ 01027006928
- მე-2 ნავთლუღის დას.ქ.5 სახლი 83

ორგანიზაცია:

- შპს ჯდკ კოდი: 206035057

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე დემონტაჟი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული ღობის დემონტაჟისა და I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, მეველეს ქუჩა N23 მიმდებარედ (ნაკვეთი N16/012) / მეველეს ქუჩა N23, შპს "ჯ.დ.კ"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ღობის დემონტაჟსა და I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური". ,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014300716 12/06/2014 წ. საკადასტრო კოდი N 01.17.12.016.023, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, მეველეს ქუჩა N23 მიმდებარედ (ნაკვეთი N16/012) / მეველეს ქუჩა N23, შპს "ჯ.დ.კ"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ღობის დემონტაჟსა და I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით .

ღობე განთავსდეს შპს "ჯ.დ.კ"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის - N 01.17.12.016.023 საკადასტრო წითელი ხაზების საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge